დანართი № 1
19.11.2024 წ. № 153
ბრძანებაზე

მეთოდიკა
„კონტრაჰენტების საქმიანი რეპუტაციის შეფასება“
მთ-123-7

შნდ-ს გამოყენებაზე პასუხისმგებელი	გენერალური დირექტორის მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში
დოკუმენტის მფლობელი	ეკონომიკური და საკუთარი უსაფრთხოების ცენტრი/გენერალური დირექტორის მოადგილე, ცენტრის ხელმძღვანელი

შინაარსი

1. დოკუმენტზე ინფორმაცია.....**Error! Bookmark not defined.**
2. პასუხისმგებლობა და გამოყენების სფერო ..... **Error! Bookmark not defined.**
3. ტერმინებისა და როლების განმარტება 4
4. ზოგადი დებულებები..... **Error! Bookmark not defined.**
5. ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქმიანი რეპუტაციის შესაფასებლად 7
6. სტოპ-ფაქტორების შეფასება 7
7. კრიტიკული რისკ-ფაქტორების შეფასება 9
8. რისკ-ფაქტორების შეფასება 9
9. საქმიანი რეპუტაციის შემაჯამებელი შეფასება..... 10
10. ნორმატიული ბმულები..... 12
11. დოკუმენტის ვერსიის კონტროლი ..... **Error! Bookmark not defined.**
12. დანართები 14

დანართი 1. სტოპ და რისკ ფაქტორების შეფასების კრიტერიუმები 15

დანართი 2. კონკურენტული შესასყიდი პროცედურებისთვის დასკვნითი ფორმა 17

დანართი 3. საქმიანი რეპუტაციის საექსპერტო შეფასების შედეგების მიხედვით დასკვნითი ფორმა 19

1. **დოკუმენტზე ინფორმაცია**

დოკუმენტის მოკლე აღწერა	წინამდებარე მეთოდიკა არეგულირებს შესყიდვის პროცედურის კონტრაჰენტის/მონაწილის საქმიანი რეპუტაციის შეფასების წესს, რომელთანაც საზოგადოება აპირებს ხელშეკრულების დადებას, ან რომელიც უკვე არის საზოგადოებასთან ხელშეკრულების მონაწილე.
კორპორაციული სტანდარტი	კი
წვდომის შეზღუდვა	არა

შნდ-ს მოქმედი ვერსიები განთავსებულია ჯგუფის კომპანიის შიდა კორპორაციულ პორტალზე. დარწმუნდით, რომ დოკუმენტის ვერსია, რომელსაც იყენებთ-მოქმედია.

2. **პასუხისმგებლობა და გამოყენების სფერო**

წინამდებარე დოკუმენტი არეგულირებს შემდეგი განყოფილებების და

განყოფილების/თანამდებობის/როლის დასახელება
შპს „თელმიკოს“ ყველა თანამშრომელი

თანამდებობის პირების საქმიანობას, როლის შემსრულებლების ჩათვლით:

როლის დასახელება	**როლის განმარტება**
ეკონომიკური უსაფრთხოების ექსპერტი (ექსპერტი)	საზოგადოების განყოფილების თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელია ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, რომელიც განახორციელებს კონტრაჰენტის საქმიანი რეპუტაციის შეფასებას, საზოგადოების თანამშრომლები, რომლებიც საზოგადოებასთან აფილირებულნი არიან, მოზიდული კონტრაჰენტების საქმიანი რეპუტაციის შეფასებისკენ (მაგალითად, უსაფრთხოების ჯგუფის თანამშრომლები).
შესყიდვის მონაწილე	ნებისმიერი იურიდიული ან რამდენიმე იურიდიული პირი, რომელიც შესყიდვის ერთი მონაწილის მხარეზე გამოდის, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის, საკუთრების ფორმის, კაპიტალის ადგილმდებარეობის და წარმოშობის ადგილის მიუხედავად, ან ნებისმიერი ფიზიკური ან რამდენიმე ფიზიკური პირი, რომელიც შესყიდვის ერთი მონაწილის მხარეზე გამოდის, მათ შორის ინდივიდუალური მეწარმე ან რამდენიმე ინდივიდუალური მეწარმე, რომლებიც მოქმედებენ შესყიდვის ერთი მონაწილის მხარეს, რომლებიც აკმაყოფილებენ შესყიდვების დოკუმენტაციაში დამკვეთის მიერ დადგენილ მოთხოვნებს შესყიდვაზე დებულების შესაბამისად.
კონტრაჰენტი	იურიდიული ან ფიზიკური პირი ან სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სხვა სუბიექტი, რომელთანაც ჯგუფის კომპანია აპირებს ხელშეკრულების

	დადებას, ან უკვე წარმოადგენს ჯგუფის კომპანიასთან ხელშეკრულების მხარეს.

3. როლებისა და ტერმინების განმარტება

დანარჩენი ტერმინების, შემოკლებების განმარტება მოყვანილია კორპორაციული პორტალის „გლოსარში“.

ტერმინის დასახელება	შემოკლება	ტერმინის განმარტება (შემოკლების გაშიფვრა)
შესატანი განმარტებები:		
მოქმედი განმარტებები:		
გადახდისუუნარობა		საჯარო/სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული სასამართლოს განჩინება გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო		საჯარო სამართლის იურიდიული პირი _ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რომელიც ამავდროულად აწარმოებს მეწარმეთა/არამეწარმეთა (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრს (ან უცხო სახელმწიფოს ანალოგი).
იურიდიული პირის ლიკვიდაცია		სამეწარმეო საზოგადოება, რომლის საფირმო სახელწოდებას დამატებული აქვს მითითება _ „ლიკვიდაციის პროცესში“ სამეწარმეო საზოგადოების ქონების სრულად განაწილებას მოყვება საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დასრულება.
სტოპ-ფაქტორი *		ფაქტორი, რომლის აღმოჩენაც საფუძვლად უდევს ექსპერტის რეკომენდაციას, მიიღოს გადაწყვეტილება კონტრაჰენტის უარყოფის შესახებ.
რისკ-ფაქტორი *		ფაქტორი, რომლის აღმოჩენაც საფუძველია ექსპერტის მიერ კონტრაჰენტის საქმიანი რეპუტაციის შემაჯამებელი შეფასების დაწევის.
იურიდიული პირის მისამართი		მეწარმის იურიდიული მისამართი, მისი ფიზიკური მისამართი საქართველოს ტერიტორიაზე
საზოგადოება		შპს „თელმიკო“.
შესყიდვის წლიური კომპლექსური პროგრამა	შწკპ	წარმოადგენს ძირითად დოკუმენტს, რომელშიც კონსოლიდირებულია შვილობილი საზოგადოების ყველა დაგეგმილი შესყიდვა.
შესასყიდი დოკუმენტაცია		დოკუმენტების კომპლექტი, რომელიც შეიცავს აუცილებელ და საკმარის ინფორმაციას შესყიდვის საგნის, პირობებისა და მისი ჩატარების წესის შესახებ, მათ შორის შესყიდვის შესახებ შეტყობინებისა და ხელშეკრულების პროექტზე, რომელიც წარმოადგენს დოკუმენტების ამ კომპლექტის განუყოფელ ნაწილს.
ჯგუფი „ინტერ რაო“	ჯგუფი	სსს „ინტერ რაო“ და მისი შვილობილი ორგანიზაცია.

ტერმინის დასახელება	შემოკლება	ტერმინის განმარტება (შემოკლების გაშიფვრა)
იურიდიული მისამართი		რამდენიმე იურიდიული პირის მიერ, სახელმწიფო რეგისტრაციისას მითითებული მისამართი, როგორც ადგილსამყოფელი.
აფილირებულობა		ფიზიკური ან იურიდიული პირების ფაქტობრივი ან სამართლებრივი კავშირი, რომელიც გავლენას ახდენს სამეწარმეო საქმიანობით დაკავებული პირების საქმიანობაზე.
კონტრაჰენტის კეთილსაიმედოობა		კონტრაჰენტის თვისება, რომელიც ხასიათდება იმ თვისებების არარსებობით, რომლებიც განსაზღვრავს კონტრაჰენტის არაკეთილსაიმედოობას.
საქმიანი რეპუტაცია		იურიდიული ან ფიზიკური პირის საქმიანობის მახასიათებლები მისი საქმიანი თვისებების შეფასების, უპირველეს ყოვლისა, სანდოობის თვალსაზრისით.
შესყიდვა		დამკვეთის ან/და შესყიდვების ორგანიზატორის მოქმედებების თანმიმდევრობა, რომელიც ხორციელდება დებულებით გათვალისწინებული დადგენილი წესით საქონლის, სამუშაოების, მომსახურების რეგულირებადი შესყიდვების ჩატარების წესის შესახებ, როგორც განსაზღვრულია მომწოდებლების მიერ მათთან საქონლის მიწოდებაზე, სამუშაოების შესრულებაზე, მომსახურების გაწევაზე ხელშეკრულებების დადების მიზნით.
კონტრაჰენტის არაკეთილსაიმედოობა		კონტრაჰენტის მახასიათებელია, რომელიც აისახება მის უნარში, განახორციელოს ერთობლივი პარტნიორული (სახელშეკრულებო) საქმიანობის პროცესში მოქმედებები ან უმოქმედობა, რომლებიც ზიანს აყენებს საზოგადოებას, როგორც პირდაპირი მატერიალური ზარალის, ასევე მიუღებელი სარგებლის, მისი საქმიანი რეპუტაციის გაუარესების (შემცირება) ან დაკარგვის ფორმით.
კრიტიკული რისკ-ფაქტორი*		ფაქტორი, რომლის აღმოჩენაც ექსპერტის მიერ შემაჯამებელი შეფასების „1“ ქულამდე დაყვანის საფუძველს იძლევა.

* ტერმინის რედაქცია გამოიყენება მეთოდიკის მიზნებისთვის.

4. ზოგადი დებულებები

4.1. საქმიანი რეპუტაციის შეფასება ტარდება კეთილსაიმედოობის ხარისხის განსაზღვრის პოზიციიდან გამომდინარე სათანადო წინდახებულობის გამოვლინების ფარგლებში კონტრაჰენტების არჩევისას.

4.2. კონტრაჰენტების საქმიანი რეპუტაციის შეფასება ტარდება ექსპერტის მიერ შესყიდვების საქმიანობის, სახელშეკრულებო სამუშაოს, ერთიანი წერილობითი ფორმით ხელშეკრულების დადების გარეშე გარიგების, ქონების გაყიდვის საქმიანობის, აკრედიტაციის პროცედურების, საზოგადოების გენერალური დირექტორის და პირდაპირ დაქვემდებარებაში მყოფი ხელმძღვანელების ცალკეული დავალებების ფარგლებში, საზოგადოების ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, მათ შორის საქმიანი რეპუტაციის დაბალი დონის მქონე კონტრაჰენტის გამოვლენასა და უარყოფისთვის, აგრეთვე სხვა პროცესების ფარგლებში.

4.3. საქმიანი რეპუტაციის შეფასება ტარდება შესყიდვის პროცედურის ყველა მონაწილის, გაყიდვის პროცედურის, თითოეული დადებული ხელშეკრულების მიმართ (გარდა შეთანხმებებისა ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ), მიუხედავად იმისა, განხორციელდა თუ არა ადრე კონკრეტული კონტრაჰენტის შეფასება (სხვა შესყიდვის პროცედურების, აკრედიტაციის პროცედურების, სხვა ხელშეკრულების დადების ფარგლებში).

4.4. საქმიანი რეპუტაციის შეფასება შეიძლება არ ჩატარდეს შემდეგ შემთხვევებში:

ა) შესყიდვის პროცედურის/გაყიდვის პროცედურის შედეგების ჩატარების მიხედვით ხელშეკრულების დადება, ხელშეკრულების დადების ვადების დარღვევის გარეშე, დადგენილი შესყიდვის დოკუმენტაციით/ქონების გაყიდვის დოკუმენტაციით;

ბ) ხელშეკრულებების, მოთხოვნების შეთანხმება შესყიდვის პროცედურების ჩატარებაზე/ საკითხების განხილვა შემდეგი წლებისთვის შწკპ-ში შეტანაზე ჩატარების მეთოდით _ არის ერთადერთი მიმწოდებელი, სადაც კონტრაჰენტი „ინტერ რაო ჯგუფის“ კომპანიებია.

4.5. იმ შემთხვევაში, თუ შესყიდვის მონაწილეს წარმოადგენს კოლექტიური მონაწილე ან მონაწილე, რომელმაც განაცხადა სუბკონტრაქტორ(ებ)ის მოზიდვაზე, ტარდება კოლექტიური მონაწილის/ძირითადი მონაწილის თითოეული წევრის და ყველა სუბკონტრაქტორის საქმიანი რეპუტაციის შეფასება, ვისთვისაც, შესყიდვის დოკუმენტაციის მოთხოვნების შესაბამისად, წარდგენილია საჭირო დოკუმენტაცია[1]. მოზიდული სუბკონტრაქტორების და კოლექტიური მონაწილის წევრების შეფასება ხდება ექსპერტის მიერ ყველა სტოპ და რისკ-ფაქტორებით მეთოდიკის 1 დანართის შესაბამისად.

4.6. შესყიდვის გამარტივებული პროცედურის მონაწილეთა საქმიანი რეპუტაცია მხოლოდ სავარაუდო გამარჯვებულის მიმართ შეისწავლება. შესყიდვის გამარტივებული პროცედურის სხვა მონაწილეების საქმიანი რეპუტაციის შესწავლა ხდება მხოლოდ მათი საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული მონაცემების მეშვეობით როგორც მოქმედი იურიდიული პირის ან ინდივიდუალური მეწარმის (აუცილებლობის შემთხვევაში) რეგისტრაციის ფაქტის დადასტურებისა და მათ შორის შესყიდვის მონაწილეთა აფილირებულობის ფაქტის გამოვლენის მიზნით[2].

4.7. გაყიდვების პროცედურების ჩატარებისას სავალდებულოა სავარაუდო გამარჯვებულის საქმიანი რეპუტაციის შეფასების ჩატარება. შეფასება ტარდება მხოლოდ სტოპ-ფაქტორების არარსებობაზე, გარდა ამ მეთოდიკის 6.1 პუნქტით გათვალისწინებული №4, 6-9 სტოპ-ფაქტორებისა. გაყიდვის სხვა მონაწილეების მითითებული მოცულობით შემოწმების, კრიტიკული რისკ-ფაქტორებისა და რისკ- ფაქტორების შეფასების აუცილებლობა და მათი შემადგენლობა ამ მეთოდიკის 7.1 და 8.1 პუნქტებში მითითებულიდან (მაგალითად, რანჟირების ჩასატარებლად), განისაზღვრება „შპს „თელმიკოს“ ქონების ობიექტების გაყიდვის კონკურენტული პროცედურების ჩატარების“ პრ-309-42 პროცესის რეგლამენტით. სავალდებულოა გაყიდვის პროცედურის სხვა მონაწილეთა (გარდა სავარაუდო გამარჯვებულისა), როგორც მოქმედი იურიდიული პირის ან ინდივიდუალური მეწარმის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის ფაქტისა და მოსალოდნელ გამარჯვებულთან მათი აფილირებულობის ფაქტის გამოვლენის შემოწმება.

1. შპს „თელმიკოს“ საჭიროებებისთვის საქონლის, სამუშაოს, მომსახურების რეგლამენტერბული შესწყიდვის ჩატარების წესის შესახებ დებულების თანახმად.

2.“ შესყიდვის გამარტივებული პროცედურის ჩატარების“ რპ-309-60 რეგლამენტის პროცესის შესაბამისად, შესყიდვის მონაწილეებს შორის აფილირება წარმოადგენს კონკურენტული ბარათის უარყოფის საფუძველს.

4.8. კონტრაჰენტის საქმიანი რეპუტაციის შეფასების წონის კოეფიციენტი (მნიშვნელობის ხარისხი), რომელიც კომერციული, იურიდიული, ფინანსურ-ეკონომიკური, ტექნიკური და სხვა სახის ექსპერტიზებით ხორციელდება, შემაჯამებელ შეფასებაში უნდა შეადგენდეს არანაკლებ 10%.

4.9. სტოპ-ფაქტორების, კრიტიკული რისკ-ფაქტორების და რისკ-ფაქტორების, რომლებიც ხასიათდება მათი მაჩვენებლების გარკვეული ნაკრებით, ერთობლიობა გამოიყენება, როგორც შეფასების კრიტერიუმები.

5. ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქმიანი რეპუტაციის შესაფასებლად

5.1. კონტრაჰენტის საქმიანი რეპუტაციის შესაფასებლად უნდა იყოს წარმოდგენილი ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია და საკმარისია კონტრაჰენტის, რომელიც იზიდავს სუბკონტრაქტორებს და კოლექტიური მონაწილის წევრებს, ზუსტი იდენტიფიცირებისთვის სარეგისტრაციო ორგანოს მიერ მინიჭებული სახელითა და სარეგისტრაციო კოდებით (სარეგისტრაციო ნომერი) და წარმოადგენენ საძიებო რეკვიზიტებს გამოყენებული საინფორმაციო რესურსებით კონტრაჰენტის შემოწმებისას. ამ ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში, საქმიანი რეპუტაციის შემოწმება არ ტარდება და ხდება კონტრაჰენტის პროცედურაში მონაწილეობის უარყოფა შესაბამისი კომენტარით.
ექსპერტის მიერ საწყისი ინფორმაციის მისაღებად შესაძლებელია განიხილოს კონტრაჰენტის დოკუმენტები, რომლებიც წარმოდგენილია იმ პროცესის მოთხოვნების შესაბამისად, რომლის ფარგლებშიც აუცილებელია კონტრაჰენტის საქმიანი რეპუტაციის შეფასების ჩატარება.

5.2. კონტრაჰენტის საქმიანი რეპუტაციის შეფასების ჩატარებისას ექსპერტი იყენებს ღია და საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან მოპოვებულ ინფორმაციას: საქართველოს შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდს, საქართველოს სააღსრულებო საქმეთწარმოების ელექტრონულ რეესტრს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების სისტემას, მოვალეთა რეესტრს, მედიასა და ა.შ.

6. სტოპ-ფაქტორების შეფასება

6.1. კონტრაჰენტის საქმიანი რეპუტაციის შეფასებისას გამოიყენება სტოპ-ფაქტორების შემდეგი ნაკრები:

1) კონტრაჰენტის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება;

2) კონტრაჰენტის სახელმწიფო რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციის არარსებობა, მის ლიკვიდაციაზე, საქმიანობის შეწყვეტაზე/შეჩერებაზე ინფორმაციის არსებობა, რეორგანიზაცია, თუ იგი გამოიწვევს კონტრაჰენტის საქმიანობის შეწყვეტას;

3) კონტრაჰენტის შესახებ ინფორმაციის არსებობა არაკეთილსინდისიერი მიმწოდებლების რეესტრებში, საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ან/და შპს „თელმიკოს“ არაკეთილსინდისიერ მიმწოდებელთა რეესტრში;

4) კონტრაჰენტის მიერ შეგნებულად ყალბი ინფორმაციის მიწოდება;

5) კონტრაჰენტისთვის „0 ქულის“ შეფასების მინიჭება ნებისმიერი სამი რისკ-ფაქტორის მიხედვით (არ არის გათვალისწინებული „კონტრაჰენტის საბანკო ანგარიშებზე ოპერაციების შეჩერების შესახებ ინფორმაციის არსებობის“ რისკ-ფაქტორი);

6) კონტრაჰენტს აქვს ორი ან მეტი კრიტიკული რისკ-ფაქტორი;

7) კონტრაჰენტს აქვს კრიტიკული რისკ-ფაქტორი და სულ ცოტა ერთი ნებისმიერი რისკ-ფაქტორი „0 ქულის“ შეფასებით (არ არის გათვალისწინებული „კონტრაჰენტის საბანკო ანგარიშებზე ოპერაციების შეჩერების შესახებ ინფორმაციის არსებობის “ რისკ-ფაქტორი);

8) კონტრაჰენტის სუბკონტრაქტორისთვის, კოლექტიური მონაწილის წევრისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ნებისმიერი სტოპ-ფაქტორის მიხედვით „0 ქულის“ შეფასების მინიჭება, თუ შესყიდვის დოკუმენტაციის მოთხოვნებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

9) კონტრაჰენტის ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს როლის შემსრულებელი იურიდიული პირისათვის სტოპ-ფაქტორებიდან ერთ-ერთის მაინც გამოვლენა;

6.2. წინამდებარე მეთოდიკის 6.1. პუნქტში მითითებული ნებისმიერი სტოპ-ფაქტორების გამოვლენისას კონტრაჰენტს ეძლევა რეკომენდაცია უარყოფასთან მიმართებით, სტოპ-ფაქტორების მითითებით, ხოლო კონტრაჰენტის საქმიანი რეპუტაციის შემაჯამებელ შეფასებას ენიჭება 0 ქულა.

6.3. თუ წინამდებარე მეთოდიკის 6.1. პუნქტში მითითებული კონტრაჰენტის საქმიანი რეპუტაციის შეფასებისას არ გამოვლინდა სტოპ-ფაქტორები, მაშინ კონტრაჰენტი დაიშვება პროცესის შემდეგ ეტაპზე/სტადიაზე, რომლის ფარგლებშიც ტარდება საქმიანი რეპუტაციის შეფასება, ხოლო კონტრაჰენტის საქმიანი რეპუტაციის შემაჯამებელი შეფასება გამოითვლება ამ მეთოდიკის 7.1 და 8.1 პუნქტებში შესაბამისად მითითებული კრიტიკული რისკ-ფაქტორებისა და რისკ-ფაქტორების არსებობის გათვალისწინებით.

6.4. სტოპ-ფაქტორების შეფასების სტადიაზე მეთოდიკის დებულებების გამოყენების დეტალური წესი განისაზღვრება მეთოდიკის დანართი 1-ის „ა“ ნაწილში (სტოპ-ფაქტორების შეფასება).

7. კრიტიკული რისკ-ფაქტორების შეფასება

7.1. კონტრაჰენტების საქმიანი რეპუტაციის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი კრიტიკული რისკ-ფაქტორები:

1) კონტრაჰენტის მიერ ბოლო 3 წლის განმავლობაში ჯგუფის კომპანიების მიმართ სახელშეკრულებო ვალდებულებების მრავალჯერ (1-ზე მეტჯერ) არაკეთილსინდისიერი შესრულება;

2) ბოლო 3 წლის განმავლობაში შესყიდვის პროცედურების ან გაყიდვის პროცედურების შედეგების საფუძველზე კონტრაჰენტის მიერ ხელშეკრულების დადებაზე უარის ფაქტის არსებობა;

3) მრავალჯერ (1-ზე მეტჯერ) კონტრაჰენტის მიერ შეგნებულად მცდარი ინფორმაციის მიწოდება ჯგუფთან ნებისმიერი ურთიერთქმედების ფარგლებში ბოლო 3 წლის განმავლობაში;

4) ინფორმაციის არსებობა კონტრაჰენტის მიერ ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში საგადასახადო ანგარიშგების წარუდგენლობის შესახებ;

7.2. ერთი კრიტიკული რისკ-ფაქტორის აღმოჩენისას, ექსპერტი კონტრაჰენტს 1 ქულას ანიჭებს. ამავდროულად, თუ შესყიდვის მონაწილის განაცხადი ან საქონლის/სამუშაოს/მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულების პროექტი შეიცავს ავანსირების პირობებს, მაშინ კონტრაჰენტს ენიჭება შეფასება „0 ქულა“.

7.3. კრიტიკული რისკ-ფაქტორების შეფასების დეტალური წესი აღწერილია მეთოდიკის დანართი 1-ის „ბ“ ნაწილში (კრიტიკული რისკ-ფაქტორების შეფასება).

8. **რისკ-ფაქტორების შეფასება**

8.1. თითოეული რისკ-ფაქტორი ცალ-ცალკე ფასდება 0-დან 5 ქულამდე შკალაზე, სადაც 0 არის რისკ-ფაქტორის ყველაზე ცუდი შეფასება, ხოლო 5- საუკეთესო (რისკ-ფაქტორი არ არის გამოვლენილი).

რისკ- ფაქტორები მოიცავს:

1) კონტრაჰენტის მიერ ბოლო 3 წლის განმავლობაში ჯგუფის წინაშე სახელშეკრულებო ვალდებულებების არაკეთილსინდისიერი შესრულება;

2) კონტრაჰენტის საბანკო ანგარიშებზე ოპერაციების შეჩერების შესახებ ინფორმაციის არსებობა;

3) ნეგატიური ინფორმაცია კონტრაჰენტის საქმიანობის შესახებ;

4) სარეგისტრაციო მონაცემებთან დაკავშირებული ნეგატიური ინფორმაცია;

5) დამფუძნებლების/მონაწილეების/აქციონერების ან/და კონტრაჰენტის ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს მიმართ ნეგატიური ინფორმაცია.

8.2. რისკ-ფაქტორების შეფასების დეტალური წესი აღწერილია მეთოდიკის დანართი 1-ის „გ“ ნაწილში (რისკ-ფაქტორების შეფასება).

9. **საქმიანი რეპუტაციის შემაჯამებელი შეფასება**

9.1. თუ რომელიმე კრიტერიუმი ვერ შეფასდება იმ პროცედურიდან გამომდინარე, რომლის ფარგლებშიც ხდება საქმიანი რეპუტაციის შეფასება (შესყიდვის პროცედურა, აკრედიტაციის პროცედურა, სახელშეკრულებო სამუშაო), ან კონტრაჰენტის თავისებურებით, მაშინ აღნიშნული კრიტერიუმის მიხედვით შეფასება არ იწერება, კონტრაჰენტის შემაჯამებელ შეფასებაში მოცემული კრიტერიუმის გათვალისწინება არ ხდება.

9.2. კონტრაჰენტის საქმიანი რეპუტაციის (კეთილსაიმედოობა) შემაჯამებელი შეფასება განისაზღვრება ჩატარების მომენტში გამოვლენილი სტოპ-ფაქტორების, კრიტიკული რისკ-ფაქტორების და რისკ-ფაქტორებიდან გამომდინარე საქმიანი რეპუტაციის ექსპერტიზის ჩატარების მომენტისთვის.

9.3. სტოპ-ფაქტორების, კრიტიკული რისკ-ფაქტორების და რისკ-ფაქტორების არარსებობის შემთხვევაში, კონტრაჰენტს ენიჭება 5 ქულა.

9.4. მეთოდიკის 6.1. პუნქტში მითითებული ნებისმიერი სტოპ-ფაქტორის გამოვლენისას კონტრაჰენტს ეძლევა რეკომენდაცია უარყოფასთან მიმართებით, გამოვლენილი სტოპ-ფაქტორების მითითებით, ხოლო კონტრაჰენტის საქმიანი რეპუტაციის შემაჯამებელ შეფასებას ენიჭება 0 ქულა.

9.5. თუ კონტრაჰენტის საქმიანი რეპუტაციის შეფასებისას წინამდებარე მეთოდიკის 6.1 პუნქტში მითითებული სტოპ-ფაქტორები არ არის გამოვლენილი, მაშინ კონტრაჰენტი დაიშვება პროცესის შემდეგ ეტაპზე/სტადიაზე (შესყიდვის პროცედურის ფარგლებში საქმიანი რეპუტაციის შეფასებისას კონტრაჰენტი ფორმულირებით „შეესაბამება“ დაიშვება შეფასების ეტაპზე), რომლის ფარგლებშიც ტარდება საქმიანი რეპუტაციის შეფასება, ხოლო კონტრაჰენტის საქმიანი რეპუტაციის შემაჯამებელი შეფასება გამოითვლება კრიტიკული რისკ-ფაქტორებისა და რისკ-ფაქტორების არსებობის გათვალისწინებით, რომლებიც შესაბამისად მითითებულია წინამდებარე მეთოდიკის 7.1 და 8.1 პუნქტებში.

9.6. ერთი კრიტიკული რისკ-ფაქტორის გამოვლენისას და რისკ-ფაქტორის „0 ქულის“ შეფასებით არ არსებობის შემთხვევაში, კონტრაჰენტს ენიჭება 1 ქულა.

9.7. თუ არ იქნა აღმოჩენილი არც ერთი სტოპ-ფაქტორი (შესყიდვის პროცედურის შერჩევის ეტაპის შედეგების მიხედვით მიწერილი აქვს შეფასება „შეესაბამება“) და კრიტიკული რისკ-ფაქტორი, შემაჯამებელი ქულა გამოითვლება მიღებული რისკ-ფაქტორების შეფასების შეწონილი შეჯამებით შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$\mathbf{x} = \frac{\sum_1^n x_i \times p_i}{\sum_1^n p_i},$$

სადაც:

$\boldsymbol{i}$ – რისკ-ფაქტორის ნომერი დანართი 1-ის „გ“ ნაწილის ცხრილის თანახმად ;

n – რისკ-ფაქტორების რაოდენობა;

$\boldsymbol{x_i}$ – 0 დან 5 ქულამდე მე-i რისკ-ფაქტორის შეფასება;

$\boldsymbol{p_i}$ - მე-i რისკ-ფაქტორის წონა (წონითი კოეფიციენტი).

ამ შემთხვევაში მიიღება რისკ-ფაქტორების შეფასების წონების (წონის კოეფიციენტების) შემდეგი მნიშვნელობები:

რისკ-ფაქტორის №	(წონის კოეფიციენტი)
1	30 % (0,3)
2	25% (0,25)
3	20 % (0,2)
4	15 % (0,15)
5	10 % (0.1)

რისკ-ფაქტორისთვის, რომელიც არ არის გათვალისწინებული კონკრეტული კონტრაჰენტის საქმიანი რეპუტაციის შეფასებისას, წონის კოეფიციენტი მიიღება ნულის ტოლად (**ρ** = 0).

9.8. კოლექტიური მონაწილის/მონაწილის, რომელმაც გამოაცხადა სუბკონტრაქტორ(ებ)ის მოზიდვაზე, საქმიანი რეპუტაციის შემაჯამებელი შეფასება განისაზღვრება, როგორც კოლექტიური მონაწილის ყველა წევრის ან ძირითადი მონაწილის და მისი სუბკონტრაქტორების შეფასებების ჯამი, ვისთვისაც მიღებული იყო ინდივიდუალური შეფასებები, შეწონილი მათი მონაწილეობის წილით, წარმოდგენილი სამუშაოს განაწილების გეგმის შესაბამისად, როგორიცაა:

$$\mathbf{x} = \frac{\sum_0^N X_j \times P_j}{\sum_0^N P_j},$$

სადაც:

j –კოლექტიური მონაწილის ან სუბკონტრაქტორის წევრის რიგითი ნომერი j -ის მიმართებაში 1-დან N-მდე ტოლობით, ლიდერისთვის/ძირითადი მონაწილისთვის j = 0;

N –ლიდერის გარეშე კოლექტიური მონაწილის წევრთა რაოდენობა ან სუბკონტრაქტორების რაოდენობა;

$\boldsymbol{X_j}$ - კოლექტიური მონაწილის მე-j წევრის ან ძირითადი მონაწილის და მისი სუბკონტრაქტორების საქმიანი რეპუტაციის შემაჯამებელი შეფასება;

$\boldsymbol{P_j}$ –კოლექტიური მონაწილის მე-j წევრის ან ძირითადი მონაწილის და მისი სუბკონტრაქტორების მონაწილეობის წილი სამუშაოს მთლიან მოცულობაში (შესასრულებელი სამუშაოს/მომსახურების მოცულობის ღირებულების შეფარდება წინადადების მთლიან ღირებულებასთან).

ამასთან, მოყვანილი ფორმულით ნაპოვნი შემაჯამებელი შეფასება არ შეიძლება აღემატებოდეს ძირითადი მონაწილის (კოლექტიური მონაწილის /გენერალური

კონტრაქტორის ლიდერის) ინდივიდუალურ შეფასებას. სხვე შემთხვევაში, კოლექტიური მონაწილის/მონაწილის შემაჯამებელ შეფასებას, რომელმაც გამოაცხადა სუბკონტრაქტორი(ებ)ის მოზიდვის შესახებ, ენიჭება ძირითადი მონაწილის - კოლექტიური მონაწილის/გენერალური კონტრაქტორის ლიდერის მიღებული შეფასება.

9.9. შესყიდვის საკონკურსო პროცედურების ექსპერტიზის შედეგები, რომელშიც გათვალისწინებულია შერჩევისა და შეფასების სტადიები, ფორმდება ექსპერტიზის დასკვნის ფორმის სახით მეთოდიკის დანართი 2-ის შესაბამისად, შესყიდვის პროცედურებისთვის, რომელშიც გათვალისწინებულია მხოლოდ შერჩევის სტადია, მეთოდიკის დანართი 2-ის ნაწილში- „საექსპერტო შეფასება შეფასების კრიტერიუმების მიხედვით“ არ ივსება, დანარჩენ შემთხვევებში, ექსპერტის დასკვნის შედგენა ხდება მეთოდიკის დანართი 3-ის ფორმის შესაბამისად.

9.10. შემაჯამებელი ქულა მრგვალდება მძიმის შემდეგ ერთ ციფრამდე შემდეგი მათემატიკური წესის მიხედვით: თუ მძიმის შემდეგ მეორე ციფრი არის 0, 1, 2, 3, 4, მაშინ პირველი ციფრი მძიმის შემდეგ უცვლელი რჩება, მძიმის შემდეგ დარჩენილი ციფრები დამრგვალების შემდეგ არ არის მითითებული; თუ მძიმის შემდეგ მეორე ციფრი არის 5, 6, 7, 8, 9, მაშინ მძიმის შემდეგ პირველი ციფრი იზრდება 1-ით, მძიმის შემდეგ დარჩენილი ციფრები დამრგვალების შემდეგ არ არის მითითებული.

9.11. მიღებული შემაჯამებელი შეფასება სიტყვიერი თვალსაზრისით შეიძლება იქნას ინტერპრეტირებული შემდეგნაირად:

ქულის შესაბამისობის შეფასება კონტრაჰენტის არაკეთილსაიმედოობის რისკის დონესთან

შემაჯამებელი შეფასება ქულებში	რისკის დონე
0	„დაუშვებლად მაღალი/ მიუღებელი რისკი“
1 -დან 1,9-მდე	„ძალიან მაღალი რისკი“
2 - დან 2,9-მდე	„მომატებული რისკი“
3 - დან 3,9-მდე	„საშუალო რისკი“
4 - დან 4,9-მდე	„უმნიშვნელო რისკი“
5	„მინიმალური რისკი“

9.12. შესყიდვის/გაყიდვის მონაწილეთა ერთმანეთში აფილირებულობის აღმოჩენის შემთხვევაში, ექსპერტი ვალდებულია ეს ფაქტი ასახოს თავის დასკვნაში შემოწმების ინიციატორის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გასათვალისწინებლად (მაგალითად, შესყიდვის/გაყიდვის კომისიის მიერ).

ამასთან, თუ ცალკე ლოტის ფარგლებში აფილირებული მონაწილეების გარდა სხვა მონაწილეები არ არიან, მაშინ ექსპერტი შესყიდვის/გაყიდვის კომისიის ყურადღებას ამახვილებს ამ ლოტის მიხედვით შესყიდვის/გაყიდვის აღნიშნულ პროცედურაში კონკურენტული გარემოს შესაძლო არარსებობაზე.

9.13. იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტის მიერ გაყიდვაში სავარაუდო გამარჯვებულის საქმიანი რეპუტაციის შესწავლისას აღმოჩენილ იქნება ფაქტები, რომლებიც არ იწვევს მისი განაცხადის უარყოფას წინამდებარე მეთოდიკის შესაბამისად, მაგრამ, მისი აზრით, შეიძლება ნეგატიურად იმოქმედოს საზოგადოების საქმიან რეპუტაციაზე, ამ კონტრაჰენტისთვის ქონების მიყიდვის შემთხვევაში (გამოიწვევს რეპუტაციული რისკების გაჩენას), ექსპერტი ვალდებულია ასახოს ეს ფაქტები თავის დასკვნაში, რათა გათვალისწინებულ იქნას გაყიდვების კომისიის მიერ გამარჯვებულის არჩევისას.

9.14. კონტრაჰენტის სტოპ-ფაქტორების გამოვლენის შეთხვევაში, რომელთანაც დადებულია ხელშეკრულება (გარდა № 1, 9, 10 სტოპ-ფაქტორებისა, გათვალისწინებული ამ მეთოდიკის 6.1 პუნქტით) აქვს საკმარისი საფუძველი შეფასება „შეესაბამება“-მდე გაზარდოს ან/და 1 ქულამდე (შეფასების სტადიაზე შეფასება არ შეიძლება აღემატებოდეს 1 ქულას). ექსპერტს შეუძლია გაზარდოს ქულა საექსპერტო დასკვნაში თავისი პოზიციის დასაბუთებით. გარდა ამისა, შემაჯამებელი შეფასების გაზრდა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოებისთვის დადებულია მომგებიანი ხელშეკრულება და კონტრაჰენტის მხრიდან არის გათვალისწინებული 100%-იანი წინასწარი გადახდა (გარდა №9, 10 სტოპ-ფაქტორებისა, რომლებიც გათვალისწინებული ამ მეთოდიკის 6.1 პუნქტით).

შეფასება „შეესაბამება“-მდე გაზრდის ყველა შემთხვევა აისახება მთ-224 მეთოდიკით გათვალისწინებულ რეგულარულ ანგარიშებში „ინტერ რაო“ ჯგუფის კომპანიების ეკონომიკური და საკუთარი უსაფრთხოების განყოფილებებს შორის ურთიერთქმედება“.

10. ნორმატიული ბმულები[3]

10.1. გარე ნორმატიული დოკუმენტები

№ ქ/პ	დოკუმენტის ნომერი და თარიღი	დოკუმენტის დასახელება
1	№7165-Iს 18.09.2020წ.	„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი
2	№875-Vრს-Xმპ 02/08/2021წ.	„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი
3	№820 19.12.2008წ.	„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონი

10.2. შიდა ნორმატიული და ორგანიზაციულ-განკარგულებითი დოკუმენტები

№ ქ/პ	შნდ-ს ნომერი ან ოგდ-ს ნომერი, ოგდ-ს თარიღი	დოკუმენტის დასახელება
1	პრ-309-60	პროცესის რეგლამენტი „შესყიდვების გამარტივებული პროცედურის ჩატარება“
2	შპს „თელმიკოს“ სამეთვალყურეო საბჭოს 2022 წლის 31 მარტის №15 ოქმი	დებულება შპს „თელმიკოს“ საჭიროებისათვის რეგლამენტირებული საქონლის, სამუშაოების, მომსახურების შესყიდვების ჩატარების წესის შესახებ
3	პრ- 309-42	პროცესის რეგლამენტი „შპს „თემიკოს“ ქონებრივი ობიექტების გაყიდვის კონკურენტული პროცედურების ჩატარება“
4	მთ-103-20	მეთოდიკა „ინტერ რაო“ ჯგუფის კომპანიების ეკონომიკური და საკუთარი უსაფრთხოების განყოფილებებს შორის ურთიერთქმედება“

11. დოკუმენტის ვერსიის კონტროლი

ვერსიის ნომერი	ვერსიის შექმნის თარიღი	შნდ-ს შემუშავებაზე პასუხისმგებლის თანამდებობა	შნდ-ს შემუშავებაზე პასუხისმგებლის სმგ
1	28.06.2022	გენერალური დირექტორის მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში	პ.დ.კიკნაძე
2	21.10.2024	გენერალური დირექტორის მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში	პ.დ.კიკნაძე

12. დანართები

დანართი 1. სტოპ და რისკ-ფაქტორების შეფასების კრიტერიუმები.
დანართი 2. კონკურენტული შესყიდვის პროცედურებისთვის დასკვნითი ფორმა.
დანართი 3. საქმიანი რეპუტაციის საექსპერტო შეფასების შედეგების მიხედვით დასკვნითი ფორმა.

დანართი 1. სტოპ და რისკ-ფაქტორების შეფასების კრიტერიუმები

№	კრიტერიუმის დასახელება	განმარტებები
		ნაწილი «ა» (სტოპ-ფაქტორების შეფასება)
1	კონტრაჰენტის მიმართ გაკოტრების პროცედურის გამოყენება	მოწმდება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდის _ http:// https://napr.gov.ge/ მეშვეობით
2	კონტრაჰენტის სახელმწიფო რეგისტრაციის შესახებ არარსებობა, ინფორმაციის არსებობა მისი ლიკვიდაციის, საქმიანობის შეწყვეტა/შეჩერების, არამოქმედი პირის ეროვნული საჯაროო რეესტრიდან გარიცხვის ან მისი რეორგანიზაციის შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ რეორგანიზაცია გამოიწვევს კონტრაჰენტის საქმიანობის შეწყვეტას.	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს https://napr.gov.ge/ ვებ-გვერდზე შესაბამისი ჩანაწერის შემოწმება შესყიდვის მონაწილის რეორგანიზაციის შესახებ ინფორმაციის არსებობა იმ შემთხვევაში, თუ რეორგანიზაცია შესყიდვების მონაწილის საქმიანობის შეწყვეტას გამოიწვევს, არ გამოიყენება რეორგანიზაციის შემთხვევაში ერთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირის სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირი გარდაქმნის დროს. (თავი 8 საქართველოს კანონი „**მეწარმეთა შესახებ**“)
3	ინფორმაციის არსებობა „საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს არაკეთილსინდისიერი პირთა რეესტრში“, საზოგადოების არაკეთილსინდისიერ მიმწოდებელთა რეესტრში.	გამოიყენება: - საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრი, განთავსებული ვებ-გვერდზე http://www.procurement.gov.ge/ka/n/BlackList?page=1&q=401967975 (შეიძლება შეიცვალოს გადაწყვეტილებით იმ ორგანოს მიერ, რომელიც უფლებამოსილია ამ რეესტრის საწარმოებლად). ექსპერტისთვის საჭიროა მოთხოვნის შედეგების (სქრინშოტის) ეკრანის ფოტოს გადაღება. ეკრანის ფოტო (სქრინშოტი) განთავსდება და ინახება დასკვნის ფაილში თავად დასკვნის გაკეთების შემდგომ.

№	კრიტერიუმის დასახელება	განმარტებები
4	კონტრაჰენტის მიერ შეგნებულად ყალბი ინფორმაციის მიწოდება	დგინდება შესყიდვის პროცედურის ნებისმიერ ეტაპზე კონტრაჰენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისას. ექსპერტის მიერ შესაძლებელია შესწავლილ იქნეს კონტრაჰენტის ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც წარმოდგენილია იმ პროცესის მოთხოვნების შესაბამისად, რომლის ფარგლებშიც აუცილებელია კონტრაჰენტის საქმიანი რეპუტაციის შეფასების ჩატარება. კონტრაჰენტის მიერ შეგნებულად მცდარი მონაცემების მიწოდების შესახებ ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, ექსპერტი, რომელიც დარწმუნდა მოწოდებული ინფორმაციის არასანდოობაში, აღიარებს ამ სტოპ-ფაქტორის არსებობას (საჭიროა მოწოდებული ინფორმაციის არასანდოობის დოკუმენტური დადასტურება).
5	კონტრაჰენტისთვის შეფასება „0 ქულის“ მინიჭება ნებისმიერი სამი რისკ- ფაქტორის მიხედვით	დგინდება, თუ კონტრაჰენტის შესწავლისას მას ენიჭება შეფასება „0 ქულა“ ნებისმიერი სამი რისკ-ფაქტორის მიხედვით (არ არის გათვალისწინებული რისკ-ფაქტორი „კონტრაჰენტის საბანკო ანგარიშებზე ოპერაციების შეჩერების შესახებ ინფორმაციის არსებობა“).
6	კონტრაჰენტის მიმართ ორი ან მეტი კრიტიკული რისკ-ფაქტორის არსებობა	დადგენილია, თუ კონტრაჰენტის საქმიანი რეპუტაციის შესწავლისას გამოვლენილია ორი ან მეტი კრიტიკული რისკ-ფაქტორი.
7	კონტრაჰენტის მიერ კრიტიკული რისკ-ფაქტორისა და მინიმუმ ერთი რისკ-ფაქტორის მაინც „0 ქულის“ შეფასებით არსებობა.	დგინდება, თუ კონტრაჰენტის საქმიანი რეპუტაციის შესწავლისას გამოვლენილია კრიტიკული რისკ-ფაქტორი და რომელიმე რისკ-ფაქტორისთვის ენიჭება შეფასება „0 ქულა“ (რისკ-ფაქტორი „კონტრაჰენტის საბანკო ანგარიშებზე ოპერაციების შეჩერების შესახებ ინფორმაციის არსებობა“ არ არის გათვალისწინებული)

№	კრიტერიუმის დასახელება	განმარტებები
8	კონტრაჰენტის სუბკონტრაქტორისთვის, კოლექტიური მონაწილის წევრისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რომელიმე სტოპ-ფაქტორისთვის „0 ქულის“ შეფასების მინიჭება, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული შესყიდვის დოკუმენტაციის მოთხოვნებით.	სუბკონტრაქტორების, კოლექტიური მონაწილის წევრების (ლიდერის გარდა) საქმიანი რეპუტაციის შეფასება ხდება ყველა სტოპ-ფაქტორზე დაყრდნობით. თუ კონტრაჰენტის სუბკონტრაქტორს ან კოლექტიური მონაწილის წევრს ერთ-ერთი სტოპ-ფაქტორის მიხედვით ენიჭება შეფასება „0 ქულა“, მაშინ კონტრაჰენტს ამ სტოპ-ფაქტორის მიხედვით ენიჭება შეფასება „0 ქულა“.
9	სტოპ-ფაქტორის გამოვლენა იურიდიული პირისთვის, რომელიც ასრულებს კონტრაჰენტის ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს როლს.	დგინდება იურიდიული პირის შემოწმებისას, სტოპ-ფაქტორების არარსებობაზე, რომელიც ხელშეკრულებით ასრულებს კონტრაჰენტის ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს როლს.
ნაწილი «ბ» (კრიტიკული რისკ-ფაქტორების შეფასება)		
1	კონტრაჰენტის მიერ ჯგუფის კომპანიების მიმართ ბოლო 3 წლის განმავლობაში მრავალჯერადი (1-ზე მეტჯერ) სახელშეკრულებო ვალდებულებების	კონტრაჰენტის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების არერთხელ (1-ზე მეტჯერ) არაკეთილსინდისიერი შესრულების შეფასებისას გათვალისწინებულ იქნება შემდეგი ფაქტორების შემცველი პრეტენზიები: - სახელშეკრულებო ვალდებულებების ან ხელშეკრულების სხვა პირობების შესრულების ვადების დარღვევა; - რეკლამაციები პროდუქტის ხარისხის მიხედვით;

№	კრიტერიუმის დასახელება	განმარტებები
	არაკეთილსინდისიერი შესრულება	- კონტრაჰენტის მიერ წაგებული სასამართლო საქმეების შედეგები, რომლებშიც გამოტანილ იქნა გადაწყვეტილებები პირგასამტეხლოს გადახდის შესახებ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ვადების ან ხელშეკრულების სხვა პირობების დარღვევისთვის; - კონტრაჰენტის მიერ წაგებული სასამართლო საქმეების შედეგები, რომლებშიც გამოტანილი იყო გადაწყვეტილებები ხარისხის მიხედვით რეკლამაციის დაკმაყოფილების თაობაზე; - კონტრაფაქტული პროდუქციის მიწოდების დადასტურებული ფაქტები; - შეგნებულად ყალბი ინფორმაციის მიწოდება ხელშეკრულების დადების ან შესრულების ეტაპზე. ამ კრიტიკული რისკ-ფაქტორის განსაზღვრისას, გამოიყენება საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების სისტემა https://www.supremecourt.ge/ka/cases და ჯგუფის კომპანიებისგან მიღებული ინფორმაცია (ინფორმაცია საპრეტენზიო ან/და საპრეტენზიო-სასარჩელო წარმოების შესახებ). ეს კრიტიკული რისკ-ფაქტორი გამოიყენება მაშინ, თუ არსებობს ორი ან მეტი ნეგატიური თანამშრომლობის ფაქტი კონტრაჰენტთან, პრეტენზიის გამოცხადების დღიდან ან უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან კონტრაჰენტის მისამართით ბოლო 3 წლის განმავლობაში.
2	ბოლო 3 წლის განმავლობაში შესყიდვის ან გაყიდვის პროცედურების შედეგების საფუძველზე კონტრაჰენტის მიერ ხელშეკრულების დადებაზე უარის ფაქტის არსებობა.	ამ კრიტიკული რისკ-ფაქტორის შეფასებისას გამოიყენება ინფორმაცია კონტრაჰენტის მიერ ჯგუფის შესყიდვების ან გაყიდვების პროცედურების შედეგების საფუძველზე ხელშეკრულების დადებაზე უარის ყველა შემთხვევის შესახებ - გამოიყენება, თუ არსებობს: - შესყიდვის კომისიის ან გაყიდვების კომისიის ოქმები, რომლებიც შეიცავენ გადაწყვეტილებას კონტრაჰენტის მიერ ხელშეკრულების დადებაზე უარის აღიარების შესახებ; - შეტყობინება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესყიდვაში გამარჯვებულის მიერ ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის შესახებ; - სხვა დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლებიც ადასტურებენ შესყიდვაში გამარჯვებულის მიერ ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის შესახებ

№	კრიტერიუმის დასახელება	განმარტებები
3	მონაწილის/კონტრაჰენტის მიერ შეგნებულად მცდარი ინფორმაციის არაერთგზის (1-ზე მეტჯერ) მიწოდება ჯგუფთან ნებისმიერი ურთიერთქმედების ფარგლებში ბოლო 3 წლის განმავლობაში.	ამ კრიტიკული რისკ-ფაქტორის შეფასებისას გამოიყენება ინფორმაცია კონტრაჰენტის მიერ ჯგუფთან ნებისმიერი ურთიერთქმედების ფარგლებში შეგნებულად მცდარი მონაცემების მიწოდების შესახებ - გამოიყენება დამადასტურებელი დოკუმენტების ან დადასტურებული ოფიციალური წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის არსებობისას. ასეთი დოკუმენტები შეიძლება იყოს საზოგადოების ოქმები, კონტრაჰენტის მისამართით საპრეტენზიო წერილები, სამსახურებრივი გამოძიების/შემოწმების დასკვნები, ოფიციალური წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს მონაწილის/კონტრაჰენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის არასანდოობას (წინააღმდეგობრიობას). ეს კრიტიკული რისკ-ფაქტორი გამოიყენება მაშინ, თუ არსებობს მონაწილის/კონტრაჰენტის მიერ შეგნებულად ყალბი ინფორმაციის მიწოდების ორი ან მეტი ფაქტი, ამ მცდარი ინფორმაციის გამოვლენის თარიღიდან ბოლო 3 წლის განმავლობაში.
4	ინფორმაციის არსებობა კონტრაჰენტის მიერ ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში საგადასახადო ანგარიშგების წარუდგენლობის შესახებ.	ამ კრიტიკული რისკ-ფაქტორის შეფასებისას გამოიყენება საქართველოს შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სერვისი: https://www.rs.ge.
	ნაწილი «გ» (რისკ-ფაქტორების შეფასება)	
1	კონტრაჰენტის მიერ ბოლო 3 წლის განმავლობაში ჯგუფის წინაშე სახელშეკრულებო ვალდებულებების არაკეთილსინდისიერი შესრულება.	კონტრაჰენტის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების არაკეთილსინდისიერი შესრულების შეფასებისას გათვალისწინებულ იქნება შემდეგი ფაქტორების შემცველი პრეტენზიები: - ვალდებულებების ან ხელშეკრულების სხვა პირობების შესრულების ვადების დარღვევა; - რეკლამაციები პროდუქტის ხარისხის მიხედვით;

№	კრიტერიუმის დასახელება	განმარტებები
		- კონტრაჰენტის მიერ წაგებული სასამართლო საქმეების შედეგები, რომლებშიც გამოტანილ იქნა გადაწყვეტილებები პირგასამტეხლოს გადახდის შესახებ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ვადების ან ხელშეკრულების სხვა პირობების დარღვევისთვის; - კონტრაჰენტის მიერ წაგებული სასამართლო საქმეების შედეგები, რომლებშიც გამოტანილი იყო გადაწყვეტილებები ხარისხის მიხედვით რეკლამაციის დაკმაყოფილების თაობაზე; - კონტრაფაქტული პროდუქციის მიწოდების დადასტურებული ფაქტები; - შეგნებულად ყალბი ინფორმაციის მიწოდება ხელშეკრულების დადების ან შესრულების ეტაპზე. გამოიყენება საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების სისტემა https://www.supremecourt.ge/ka/cases და ჯგუფის კომპანიებისგან მიღებული ინფორმაცია (ინფორმაცია საპრეტენზიო ან/და საპრეტენზიო-სასარჩელო წარმოების შესახებ). ამ რისკ-ფაქტორის გამოყენების სამწლიანი პერიოდის ვადა განისაზღვრება კონტრაჰენტის მისამართით პრეტენზიის გამოცხადების თარიღით ან კონტრაჰენტის არასასარგებლოდ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლით. 5 ქულა, კონტრაჰენტის მიერ საზოგადოების მიმართ სახელშეკრულებო ვალდებულებების არაკეთილსინდისიერი შესრულების ფაქტების არარსებობის შემთხვევაში; 0 ქულა, კონტრაჰენტის მიერ ჯგუფის კომპანიის წინაშე სახელშეკრულებო ვალდებულებების ერთჯერადი (ან მეტი) არაკეთილსინდისიერი შესრულების შემთხვევაში (ყველა დადგენილ ინფორმაციას უნდა ჰქონდეს დოკუმენტური მტკიცებულება).
2		
3	ნეგატიური ინფორმაცია კონტრაჰენტის საქმიანობის შესახებ	1) კონტრაჰენტის შესახებ ინფორმაციის არსებობა აღსრულების ეროვნული ბიუროს ოფიციალური ვებ-გვერდის „სააღსრულებო წარმოებათა ელექტრონული რეესტრის“ სერვისზე https://nbof.reestri.gov.ge/. გამოიყენება ბოლო წლის განმავლობაში 2 ან მეტი სააღსრულებო წარმოების არსებობისას ან არის ერთი სააღსრულებო წარმოება, რომელიც აღემატება 700 ლარს მცირე და

№	კრიტერიუმის დასახელება	განმარტებები
		საშუალო მწარმოებელთა სუბიექტებისთვის და 4200 ლარს დანარჩენი კონტრაჰენტებისთვის საქმიანობის მთელი პერიოდის განმავლობაში (არ არის გათვალისწინებული სააღსრულებო წარმოება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებისთვის საგზაო მოძრაობის სფეროში); 2) 30 ლარზე მეტი საგადასახადო დავალიანების გადახდის შესახებ ინფორმაციის არსებობა, რომელიც გადაეგზავნა სასამართლო აღმასრულებელს ამოღების მიზნით (შესამოწმებლად გამოიყენება საქართველოს შემოსავლების სამსახურის რესურსი: https://www.rs.ge); 3) კონტრაჰენტს ბოლო 3 წლის განმავლობაში გააჩნია ნეგატიური სასამართლო პრაქტიკა (გამოყენებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების საინფორმაციო სისტემა https://www.supremecourt.ge/ka/cases, გადაწყვეტილებები გათვალისწინებულია ძალაში შესვლის თარიღიდან, სარჩელებზე კონტრაჰენტის არასასარგებლოდ ხელშეკრულებების არაკეთილსინდისიერ შესრულებაზე ან/და ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც მითითებულია მეთოდიკის დანართი 1-ის 1 პუნქტში, ნაწილი „ბ“ (კრიტიკული რისკ-ფაქტორების შეფასება) და მეთოდიკის დანართის 1-ის 1 პუნქტის, ნაწილი „გ“ (რისკ-ფაქტორების შეფასება)); 4) ღია წყაროებში, მათ შორის მედიასა და ინტერნეტ-ქსელში კონტრაჰენტის საქმიანობასთან დაკავშირებით ნეგატიური ინფორმაციის არსებობა (დასკვნაში მიეთითება გამოვლენილი ინფორმაცია და ინფორმაციის წყარო მასზე ბმულით). რომელიმე მითითებული ნიშნის გამოვლენისას, რისკ-ფაქტორს ენიჭება 0 ქულა. ნეგატიური ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში ენიჭება 5 ქულა.
4	ნეგატიური ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია სარეგისტრაციო მონაცემებთან	1) კონტრაჰენტის განყოფილებების არარსებობა საზოგადოების რეგისტრაციის რეგიონში, როდესაც მისი ვალდებულებების შესრულება მოითხოვს კონტრაჰენტის პერსონალის ხანგრძლივ ყოფნას დამკვეთის ობიექტებზე (ფართის დასუფთავების მომსახურება, რეგულარული სატრანსპორტო მომსახურება და ა.შ.);

№	კრიტერიუმის დასახელება	განმარტებები
		2) კონტრაჰენტის მრავალჯერ (ორჯერ ან მეტჯერ ბოლო სამი წლის განმავლობაში) აღრიცხვიდან მოხსნა და აღრიცხვაზე დაყენება საგადასახადო ორგანოებში ადგილმდებარეობის ცვლილების გამო („მიგრაცია“ საგადასახადო ორგანოებს შორის); 3) სახელმწიფო რეგისტრაციისას მითითებული კონტრაჰენტის ადგილმდებარეობის მისამართი არის სახელმწიფო რეგისტრაციისას მითითებულ მისამართთა სიაში, როგორც რამდენიმე იურიდიული პირის მდებარეობა (გამოყენებულიასაჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რესურსი https://napr.gov.ge/, გათვალისწინებულია მხოლოდ მისამართების მთლიანად დამთხვევისას). არ არის გათვალისწინებული იმ შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფო რეგისტრაციისას მითითებული კონტრაჰენტის ადგილმდებარეობის მისამართი მასობრივია, მაგრამ მითითებულ მისამართზე მდებარეობს საოფისე (ბიზნეს) ცენტრი ან შენობა ეკუთვნის მსხვილ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს, ქარხანას ან სხვა საწარმოს, რომელიც ოფიციალურად აქირავებს საოფისე ფართს (შესამოწმებლად გამოიყენება https //yandex.ru/maps ან ობიექტური კონტროლის სხვა მეთოდები). დასკვნაში მიეთითება საოფისე (ბიზნეს) ცენტრის, მსხვილი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის, ქარხნის ან სხვა საწარმოს დასახელება. ექსპერტისთვის საჭიროა მოთხოვნის შედეგების ეკრანის ფოტოს გადაღება (სკრინშოტი) https://napr.gov.ge/-ზე. ეკრანის ფოტო (სკრინშოტი) განთავსდება და ინახება დასკვნის ფაილში თავად დასკვნის შემდეგ. 4) კონტრაჰენტის რეგისტრაციის თარიღი განაცხადის შეტანამდე 1 წელზე ნაკლებია (შეისწავლება კონტრაჰენტის, როგორც იურიდიული პირის ან ინდივიდუალური მეწარმის პირველადი რეგისტრაციის თარიღი); რომელიმე მითითებული ნიშანის გამოვლენისას, რისკ-ფაქტორს ენიჭება 0 ქულა. ნეგატიური ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში ენიჭება 5 ქულა.
5	ნეგატიური ინფორმაცია დამფუძნებლების/მონაწილეების/	1) ინფორმაციის არსებობა იმის თაობაზე, რომ ფიზიკური პირი, რომელიც არის კონტრაჰენტის ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანო ან დამფუძნებელი (მონაწილე) წარმოდგენილია

№	კრიტერიუმის დასახელება	განმარტებები
	აქციონერების ან/და კონტრაჰენტის ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს მიმართ.	ხელმძღვანელად 5-ზე მეტ ორგანიზაციაში ან დამფუძნებლად (მონაწილედ) 10-ზე მეტ ორგანიზაციაში (გამოიყენება ინფორმაციის ღია წყაროები და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რესურსი https: //napr.gov.ge/ (არ გამოიყენება, როდესაც ფიზიკური პირი საჯაროა და ინფორმაცია მის მიმართ მისი რეალური მონაწილეობის შესახებ კომპანიების მართვაში ვრცელდება მსხვილ საინფორმაციო წყაროებში, ისეთში როგორიცაა: Forbes, რბკ(როსბიზნესკონსალტინგი), Wikipedia, Interfax. , TASS და სხვები); 2) კომპანია-ორეულის არსებობა (იურიდიული პირი, რომელსაც აქვს იდენტური (სრული ან/და შემოკლებული) სახელწოდება და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა კონტრაჰენტთან, ამ კომპანიებში ერთპიროვნულ აღმასრულებელი ორგანოდ გამოდის ერთი პირი); 3) კონტრაჰენტის ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს სამჯერ ან მეტჯერ შეცვლა ბოლო 18 თვის განმავლობაში; 4) ნეგატიური ინფორმაციის არსებობა ღია წყაროებში, მათ შორის მედიასა და ინტერნეტის ქსელში, იმ იურიდიულ პირთან მიმართებაში, რომლის უფლებამონაცვლე კონტრაჰენტია (დასკვნაში მიეთითება გამოვლენილი ინფორმაცია და ინფორმაციის წყარო მასზე ბმულით); 5) ნეგატიური ინფორმაციის არსებობა ღია წყაროებში, მათ შორის მედიასა და ინტერნეტ-ქსელში მონაწილეთა ან/და კონტრაჰენტის ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს შესახებ, აგრეთვე: დასკვნაში მითითებულია გამოვლენილი ინფორმაცია და ინფორმაციის წყარო მასზე ბმულით. ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტებიდან რომელიმეს გამოვლენისას, რისკ-ფაქტორს ენიჭება 0 ქულა. ნეგატიური ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში ენიჭება 5 ქულა.

დანართი 2. კონკურენტული შესასყიდი პროცედურებისთვის დასკვნითი ფორმა.

საექსპერტო შეფასების მიხედვით ინდივიდუალური დასკვნა

შესასყიდ პროცედურაში მონაწილეობაზე განაცხადი *(შესყიდვის დასახელება)*

_____

<u>შერჩევის კრიტერიუმის მიხედვით საექპერტო შეფასება</u>

№ ქ/ბ	**შერჩევის კრიტერიუმის დასახელება**	**საექსპერტო შეფასების სახეობა**	საექსპერტო შეფასებები **„შეესაბამება“** თუ **„არ შეესაბამება“** (შეუსაბამობის შემთხვევაში მიუთითებენ მიზეზებს)		
			კონტრაჰენტი 1	***კონტრაჰენტი 2***	***კონტრაჰენტი n***
1	**საქმიანი რეპუტაცია**	ეკონომიკური უსაფრთხოება			

დასკვნა *(ივსება შეუსაბამობის ყველა შემთხვევაში)*:
(*უნდა მითითებულ იქნას კონტრაჰენტის სახელწოდება*) – (*უნდა მითითებულ იქნას გამოვლენილი სტოპ-ფაქტორი*).*მოცემული სტოპ-ფაქტორი შესყიდვის დოკუმენტაციის (მითითებულია შესყიდვის დოკუმენტაციის პ.) შესაბამისად, წარმოადგენს კონტრაჰენტის უარყოფის საფუძველს.*

ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში ივსება თითოეული კონტრაჰენტის მიმართ

<u>შერჩევის კრიტერიუმის მიხედვით საექპერტო შეფასება</u>

№ ქ/ბ	**შერჩევის კრიტერიუმის დასახელება**	**საექსპერტო შეფასების სახეობა**	**საექსპერტო შეფასებები**		
			კონტრაჰენტი1	***კონტრაჰენტი 2***	***კონტრაჰენტი*** n
1	**საქმიანი რეპუტაცია**	ეკონომიკური უსაფრთხოება			

შეფასებების ვრცელი დასაბუთებები და კომენტარები:
კონტრაჰენტი 1: _____
კონტრაჰენტი 2: _____
კონტრაჰენტი n: _____

შესყიდვის მონაწილეთა შორის აფილირებულობის აღმოჩენის შემთხვევაში, ეს ფაქტი აღინიშნება დასკვნის ბოლოს. თუ აფილირებული მონაწილეების გარდა სხვა მონაწილეები არ არიან, ექსპერტი მიუთითებს კონკურენტული გარემოს არარსებობაზე.

(ექსპერტის ხელმოწერა და თარიღი)

(ექსპერტის სმგ)

დანართი 3. საქმიანი რეპუტაციის საექსპერტო შეფასების შედეგების მიხედვით დასკვნითი ფორმა.

დ ა ს კ ვ ნ ა

საქმიანი რეპუტაციის საექსპერტო შეფასების შედეგების მიხედვით.

(მიუთითეთ ორგანიზაციულ- სამართლებრივ ფორმას, სახელწოდება, ს/კ, რეგისტრაციის ადგილი)

საქმიანი რეპუტაციის გამოკვლევის შედეგად _____

(მიუთითეთ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, კონტრაჰენტის სახელწოდება)

შემდეგ, იმისდა მიხედვით, თუ რა მიზეზებმა მისცა საბაბი ექსპერტიზის ჩასატარებლად, ამოირჩევა ბრუნვის ერთ-ერთი ქვემოდ მოცემული ვარიანტი:

1) რომელიც გამარტივებული შესყიდვის პროცედურის მონაწილეა (მიუთითეთ შესყიდვის დასახელება, შწკპ-ს ხაზის ნომერი);
2) რომელიც ხელშეკრულების მიხედვით არის კონტრაჰენტი (მიუთითეთ „ინტრ რაო“-ს ჯგუფის კომპანია, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების მხარეს, სახელწოდება და ხელშეკრულების საგანი);
3) რომელიც ჩატარებულია მოთხოვნის საფუძველზე (მიეთითება საზოგადოების ქვეგანყოფილების ხელმძღვანელი - მოთხოვნის ინიციატორი და შესაბამისი სამსახურებრივი ბარათის რეკვიზიტები).
4) რომელიც წარმოადგენს აკრედიტაციის პროცედურის მონაწილეს (მიეთითება აკრედიტაციის სფერო);
5) რომელიც წარმოადგენს გაყიდვების პროცედურის მონაწილეს (მიეთითება გაყიდვების პროცედურის დასახელება).

იმისდა მიხედვით, გამოვლენილი იყო თუ არა სტოპ-ფაქტორები, იწერება ერთ-ერთი გამოთქმა:

1. არ იქნა აღმოჩენილი ფაქტორები, რომლებიც დაადასტურებდნენ ამ კონტრაჰენტთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარების მიუღებელი რისკის არსებობაზე;
2. აღმოჩენილია ფაქტორები, რომელთა არსებობა მიუთითებს ამ კონტრაჰენტთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარების მიუღებელ რისკზე:

შემდეგ მოყვანილია აღმოჩენილი სტოპ-ფაქტორები

შემდეგ, იმისდა მიხედვით, გამოვლენილი იყო თუ არა სტოპ-ფაქტორები, იწერება ერთ-ერთი გამოთქმა:

1. არ გამოვლინდა ისეთი ფაქტორები, რომლებიც ამცირებს კონტრაჰენტის საქმიანი რეპუტაციის შეფასებას.
2. გამოვლენილია რისკ-ფაქტორები, რომლებიც ამცირებენ კონტრაჰენტის საქმიანი რეპუტაციის შეფასებას.

(შემდეგ მოყვანილია აღმოჩენილი სტოპ-ფაქტორები):

„კონტრაჰენტების საქმიანი რეპუტაციის შეფასება“ მეთოდიკის შესაბამისად, რომელიც შესულია მოქმედებაში _____ წლის №_____ ბრძანებით, კონტრაჰენტის საქმიანი რეპუტაციის შეფასების ქულა შეადგენს _____

ქულას, რაც ახასიათებს ამ კონტრაჰენტის არაკეთილსაიმედოობის რისკის დონეს, მეთოდიკის თანახმად, როგორც „_____“.

შესყიდვის მონაწილეთა შორის აფილირებულობის აღმოჩენის შემთხვევაში, ეს ფაქტი აღინიშნება დასკვნის ბოლოს. თუ აფილირებული მონაწილეების გარდა სხვა მონაწილეები არ არიან, ექსპერტი მიუთითებს კონკურენტული გარემოს არარსებობაზე.. დამატებით, ექსპერტს შეუძლია მიუთითოს ინფორმაცია კონტრაჰენტის შესახებ, რომელიც არ იქნა გათვალისწინებული რისკ-ფაქტორების შეფასებისას, მათ შორის. რეპუტაციული რისკების ნიშნების არსებობისას..

ექსპერტი:

_____ _____ _____

(*დასკვნის გაცემის თარიღი*) (*ექსპერტის ხელმოწერა*) (*ექსპერტის ინიციალები და გვარი*)

შენიშვნები:

ტექსტი, რომელიც გამოყოფილია წითელი სქელი შრიფტით, ატარებს საინფორმაციო ხასიათს, და დასკვნაში არ მიუთითება..